



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ადმსრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 25 მაისი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 17:00 საათი

ადგილმდებარეობა: თელავი, სასტუმრო „ლოპოტა სპა რეზორტი“.

სხდომაში მონაწილე ადმსრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, თორნიკე ბაქრაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) კიზიეთარ გოჯაევას, ნუკრი მამფორიას, ბეჟან ბადაშვილის, ქრისტინე შანავას, ვანიკო ვანიშვილის, ქეთევანი ლაბაძის, ქეთი ქორიძის, კახა წულაძის, გიორგი ქუმსიაშვილის, ანა პეტრიაშვილის, გიორგი ქარქაშაძის, ანა ღამბაშიძის, ეკატერინე მიქელაძის, ვახტანგ გურგენაშვილის, თინათინ ბერიაშვილის, ბესიკ გულიაშვილის, თეონა გურულის, თამარ მინდილაიას, თათია გრიგალაშვილის, დავით ჩხაიძის, მაკა ოდოშაშვილის, ელგუჯა ავსაჯანიშვილის, გურამ ცაგარეიშვილის, ლარა ნაჭყეზიას, თამთა პეტაშვილის, სალომე სურმანიძის, თამარი გოგიას, ლუკა ბიბინეიშვილის, აკაკი ავალიშვილის, გიორგი

გაბიტაშვილის, თეკლე გოქაძის, თამთა იოსავას, ნათია თავდუმადის, გურამ რამიშვილის, ქეთევან მახათელაშვილის, მარიამ ჩართოლანის, დოდო ჯუღელის, თამარ თილიძის, გიორგი ჟიჟილაშვილის და ქეთევან გრიგალაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს კიზიეთარ გოჯაევას, ნუკრი მამფორიას, ბეჟან ბადაშვილის, ქრისტინე შანავას, ვანიკო ვანიშვილის, ქეთევანი ლაბაძის, ქეთი ქორიძის, კახა წულაძის, გიორგი ქუმსიაშვილის, ანა პეტრიაშვილის, გიორგი ქარქაშაძის, ანა ღამბაშიძის, ეკატერინე მიქელაძის, ვახტანგ გურგენაშვილის, თინათინ ბერიაშვილის, ბესიკ გულიაშვილის, თეონა გურულის, თამარ მინდილაიას, თათია გრიგალაშვილის, დავით ჩხაიძის, მაკა ოდოშაშვილის, ელგუჯა ავსაჯანიშვილის, გურამ ცაგარეიშვილის, ლარა ნაჭყებიას, თამთა პეტაშვილის, სალომე სურმანიძის, თამარი გოგიას, ლუკა ბიბინეიშვილის, აკაკი ავალიშვილის, გიორგი გაბიტაშვილის, თეკლე გოქაძის, თამთა იოსავას, ნათია თავდუმადის, გურამ რამიშვილის, ქეთევან მახათელაშვილის, მარიამ ჩართოლანის, დოდო ჯუღელის, თამარ თილიძის, გიორგი ჟიჟილაშვილის და ქეთევან გრიგალაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) გვანცა ჩადუნელის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გვანცა ჩადუნელის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ მირიან ცუცქირიძის, ალექსანდრე გიოშვილის, ეთერ საბიაშვილის, მარიამ ხაზარაძის, იოსებ ბეგიაშვილის და მაკა წერეთლის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მირიან ცუცქირიძის, ალექსანდრე გიოშვილის, ეთერ საბიაშვილის, მარიამ ხაზარაძის, იოსებ ბეგიაშვილის და მაკა წერეთლის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ალექსანდრე გორგიძის განცხადებას “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ალექსანდრე გორგიძის განცხადებას წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. მარი ვარამაშვილის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

წევრები გაეცნენ მარი ვარამაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას გადიოდა ადვოკატ ელისო რუხაძესთან, რომელიც დასაქმებული იყო ორგანიზაცია „საფარში“. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატმა დატოვა ორგანიზაცია, მარი ვარამაშვილმა სტაჟირება გააგრძელა ამავე ორგანიზაციაში სხვა ადვოკატთან და მომართა ასოციაციას, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარი ვარამაშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 5. მარიამ ჭიკაიძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

წევრები გაეცნენ მარიამ ჭიკაიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი სტაჟირებას გადიოდა ადვოკატ ჯემალ ჭკადუასთან, რომელიც დასაქმებული იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. სტაჟიორმა მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროში და ადვოკატმა ორგანიზაციის დებულების საფუძველზე, სტაჟიორს შეუწყვიტა ხელშეკრულება. შესაბამისად, მარიამ ჭიკაიძემ მომართა ასოციაციას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ჭიკაიძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების თაობაზე განაცხადების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდირებული კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის - ვლადიმერ ბუცხრიკიძის განცხადება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად ვლადიმერ ბუცხრიკიძის კანდიდატურა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარიამ სარიშვილის კანდიდატურა ადვოკატთა პროფესიული უფლებების დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე არ იქნა რეკომენდირებული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ იმ მიზეზით, რომ კომიტეტის შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებულია და ასევე, ამოწურულია კომიტეტის დებულებით დადგენილი წევრთა რაოდენობის ლიმიტი.

შესაბამისად, მარიამ სარიშვილის კანდიდატურა ადვოკატთა პროფესიული უფლებების დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე არ განხილულა, ხოლო საბჭოს წევრების მოსაზრებით მიზანშეწონილია მარიამ სარიშვილს მიეწოდოს ინფორმაცია ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესაძლებლობის თაობაზე.

საკითხი 8. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) როინ მიგრიაულის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: როინ მიგრიაულის საკანონმდებლო წინადადება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, განხილულ იქნას საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის მიერ (დანართი #1).

(ბ) ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის - გიორგი გვენეტაძის განცხადებას, რომელიც ეხებოდა სასამართლოში საქმის წარმოების დროს კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვის კუთხით კომიტეტის მხრიდან შესაბამისი განცხადების გაკეთებას.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის - გიორგი გვენეტაძის განცხადება სხდომაზე დასახელებული მოსაზრებების გათვალისწინებით, განთავსებულ იქნას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე: www.gba.ge

(გ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფის კვალიფიციური წევრებით დაკომპლექტების მიზნებისათვის, მიზანშეწონილია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის დანიშვნა, რომელიც ეფექტიანად მოახდენს წევრთა მობილიზებას და მათ რეკომენდირებას საბჭოს წინაშე. აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციაზე წარმოდგენილ იქნა ადვოკატ ლევან მახარაშვილის კანდიდატურა.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციაზე დამტკიცდეს ლევან მახარაშვილის კანდიდატურა.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე